საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კარტოზია ალექსანდრე გურამის ძე

კარტოზია ალექსანდრე გურამის ძე (დ. 8. I. 1959, თბილისი), გერმანისტი. დოქტორი (1995), პროფესორი (2015). დაამთავრა თსუ-ის დას. ევროპის ენებისა და ლიტ-რის ფაკ-ტის გერმანული განყ-ბა (1981). 1989–2005 იყო თსუ-ის გერმ. ფილოლ. კათედრის გამგე; 1990–91 – ზაარლანდის უნ-ტის მიწვეული პროფესორი; 1994–96 – გეტინგენის უნ-ტის სპეციალურ კვლევათა ცენტრის მეცნიერი თანამშრომელი; 1997–98 – საქართვ. ეროვნ. ბ-კის დირექტორი; 1998–2004 – საქართვ. განათლების მინისტრი; 2005–06 – ბრემენის უნ-ტის აღმ. ევროპის ინ-ტის მეცნიერი თანამშრომელი; 2006-იდან – ოდერის ფრანკფურტის უნ-ტის მიწვეული პროფესორი (კულტურის მეცნიერებათა ფაკ-ტი, შედარებითი ენათმეცნიერების კათედრა); 2015-იდან – თსუ-ის პროფესორი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკ-ტი, გერმ. ფილოლოგია).

კ-ს კვლევის სფეროა გერმანიკული ენები, ზოგადი ენათმეცნიერება, თარგმანმცოდნეობა, გერმ. ფილოლოგია. არის ა. ფონ ჰუმბოლდტის ფონდის (გერმანია) სტიპენდიანტი (Fellow) (1994-იდან) და საქართვ. ჰუმბოლდტის კლუბის პრეზიდენტი.

თხზ.: მხატვრული ტექსტი როგორც სიტყვის ობიექტივაცია, «მაცნე». ენისა და ლიტერატურის სერია, 1986, №1; გრამატიკულ-სემანტიკური ველის ობიექტივაცია მხატვრულ ტექსტში, იქვე, 1991, №4; Begegnung mit Ursprung und Zeit. In: Chr. Vogel (Hrsg.), «Georgien». Editon Braus, Heidelberg, 2008; Kunst kennt keine Grenzen? Hermann Wedekind und Georgien. In: K.Bohr (Hrsg.), Kunst kennt keine Grenzen. Erinnerungen an Hermann Wedekind, Saarbrücken, 2010.